# ერი

№ 39

წელიწადი პირველი

1913

**ფ ა ს ი:**

წლიურათ . . . . . . . . 7 მანეთი

ნახევარი წლით. . . . . . . 4 მანეთი

თვიურათ . . . . . . . . 4 აბაზი

ცალკე ნუმრის ერთი შაური.

წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილ-ნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მანეთი დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. საზღვარგარეთ წლიურათ 14 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 6 აბაზი.

ოთხშაბათი, 18 დეკემბ.

მისამართი: Кутаисъ, редакція газ. ...

Ивановская, д. Чиладзе.

ყოველდღიური გაზეთი

ტელეფონი № 149.



ეროვნული ბიბლიოთეკა


„რადიუმი“ ოთხშაბათიდან, 16 დეკემბ.

I. პატე-ჟურნალი.

II. ჰაეროვანი ტორპედა. დრამა 3 ნაწილათ სიუზანა გრანდეს მონაწილეობით.

III. მენდლის მებნაში. კომიკური სურათი მაკს ლინდნერის მონაწილეობით.

ა ნ ო ნ ს ი: ხუთშაბათიდან წავა მეორე ნაწილი 6 განყოფილებათ „ბედის გასაღები“ ვერბიცკაიას რომანიდან გადმოკეთებული.

პაევზე დამყარებული ამხანაგობა

ს. მ. კირაკოზოვი და გ. გ. ოგანოვი

10—21 დეკემბრამდი 1913 წ.

ნიშნავს საშობაო იაფ ვაჭრობას

მაღაზია ღია იქნება 9—1 საათ. და 3—7 საათამდი.

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „ე რ ი“

**ხელის მოწერა მიიღება 1914 წლისთვის**

გაზეთში ახლო მონაწილეობას მიიღებენ ჩვენში ცნობილი პუბლიცისტები, ბელეტრისტები და კრიტიკოსები.

**გაზეთის ფასი:**

| | |
|---|---|
| ერთი წლით . . . | 7 მანეთი. |
| ნახევარი წლით . . . | 4 მანეთი. |
| ერთი თვით . . . | 4 აბაზი. |
| და ცალკე ნუმრის . . . | 1 შაური. |

გაზეთის წლიური დასაკვეთი ფასის გადახდა ნაწილ-ნაწილათაც შეიძლება ამ სახით: ხელის მოწერის დროს—სამი მანეთი, პირველ მაისს—ორი მანეთი და პირველ ეკენისთვესაც—ორი მანეთი. საზღვარგარეთ გაზეთი წლიურათ ღირს 14 მ., 1/2 წ.—8 მ., თვიურათ 6 აბაზი.

სოფლის მასწავლებლებსა და სოფლის უფასო წიგნსაცავ-სამკითხველოებს გაზეთი ეთმობათ წლიურათ 5 მ., ნახევარ წლით 3 მანეთად და თვიურათ 3 აბაზათ. მისამართი რედაქციისა და კანტორისა: Кутаисъ, редакція газ. „ЕРИ“ ამ მისამართით უნდა გამოიგზავნოს დასაკვეთი ფულიც და სხვ. ივანოვის ქუჩა.

---

ქ უ თ ა ი ს ი.

**თ. მთავრიშვილის და ამხ.**

წიგნისა და საკანცელარიო ნივთების მაღაზიაში

იყიდება ყოველგვარი სახელმძღვანელო ქართულსა და რუსულ ენაზე შედგენილი. მაღაზიას მუდმივ მოსდის ახალ-ახალი რუსული და ქართული წიგნები, როგორც რუსეთის ცნობილი ფირმებიდან, ისე საქართველოს ყოველი ქალაქიდან—დაბეჭდვისათანავე.

პროვინციის მოთხოვნილებას მაღაზია დაუყონებლივ აკმაყოფილებს.

მაღაზია ღებულობს ხელის მოწერას ყველა რუსულსა და ქართულ ჟურნალ-გაზეთზე.

---

ქ უ თ ა ი ს ი

პირველი კერძო სამკურნალო სპეციალისტი ექიმებით.

**მუდმივი საწოლებით**

**თ. ა. რელიგიონის სახლი თეთრ ხიდთან.**

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველდღე:

დ ი ლ ი თ.

| | |
|---|---|
| გ. ა. აშიანცი—ყელის, ცხვირის, ყურისა და ქირურგიული. . . | 1—2 |
| გ. ს. ნადირაძე—შინაგანი და ბავშის . . . | 10—12 |
| ა. ა. რელიგიონი—ოსტაქარი, ქალთა, საბებიო . . . | 11—12 |
| მ. დ. ბეთანოვი—კანის, ათაშანგი, ვენერ. . . . | 12—2 |
| ვ. ა. ჭოლოშვილი—საბებ., ქალთა და შინაგ. . . . | 12 1/2 2 |

ს ა ღ ა მ ო თ.

| | |
|---|---|
| გ. დ. ქორქაშვილი—თვალის . . . | 4 1/2—5 1/2 |
| ვ. ა. ჭოლოშვილი—საბებიო, ქალთა და შინაგ. . . | 5 1/2—6 1/2 |

სამკურნალოსთან მიწყობილია საქ.—საანალიზო კაბინეტი: სისხლის, შარდის, ნახველისა და სხვ. შესამოწმებლათ. ძუძუს შემოწმება, ყვავილის აცრა, 606—914 შესხმა კონსულტატიურათ. არის ცალკე ოთახები მძიმე ავათმყოფებისა და მშობიარეთათვის. რჩევა 10 შაური, ოპერაცია და კონსულტაცია მორიგებით. საწოლები 3 მანეთიდან და ამაზე მეტათ. ექიმთა მუდმივი მორიგობა.

ტელეფონი № 53

სამკურნალოს დირექტორი—ვ. ა. ჭოლოშვილი. წ.

---

**ალ. ჭიჭინაძისაგან** შედგენილი წიგნები:

1. „მცენარეები და ცხოველები ცხელი ქვეყნისა“ და 2. „პირველდაწყებითი ცოდნა გეოგრაფიისა—

სამოსწავლო ოლქის მზრუნველისაგან ნებ დართულია მოსწავლეებისა და მასწავლებლების ბიბლიოთეკებისთვის.

წიგნები იყიდება თ. მთავრიშვილისა და ამხ. მაღაზიაში.

---

ს ა ვ ა ჭ რ ო ს ა ხ ლ ი

## „გიორგი ფითოევისა“

გოლოვინის პროსპექტი, 21. თბილისის განყოფილება. ტელეფ. 12—28.

სრული მოწყობა: ელექტრონის სადგურებისა, გამართვა ელექტრონით განათებისა, ტელეფონის ელექტრონული ზარების, კაბელი, გაყვანა მზუფები ჩვეულებრივი და „გუპეროვის“ ყოველნაირი ელექტრონის გასამართავი მასალა,

**ლამპები და შობისხის ჭაღრონები.**

ეკონომიური გასახურებელი ლამპები „ტუნგსრამის“ 75% ეკონომიის დახარჯვით. გაირჩევა სიმაგრითა და სიმტკიცით.

---

ახლათ გამოშვებული პაპიროზები

## „დელი-ბაბ“

10 ცალი 6 კაპ. 25 ცალი 3 შ. იყიდება ყველგან.

პაპიროზები კეთდება გამოჩენილი წვრილფურცლიანი ნამდვილი თათრული თამბაქოსაგან, რომელსაც შესამჩნევი არომატი და სასიამოვნო გემო აქვს.

თუთუნის ქარხანა „ბინიატ-ოღლისა“ ბათუმში კომაროვის ქუჩა, საკუთ. სახლი.

---

**პირდაპირ ნახევარ ფასათ იყიდება!**

ახლათ მიღებული საქონლები პირველი ღირსების, რუსეთისა და საზღვარგარეთის საუკეთესო ქარხნების და უკანასკნელი მოდის. გაყიდვა დაიწყება დღეიდან მოკლე ვადით ქ. ქუთაისში ბულვარის პირდაპირ, ძმ. ... ოცხელების შენობაში, ახვლედიანის მაღაზიის უკანა განყოფილებაში, სადაც იყიდება შემდეგი ახლათ მიღებული საქონლები: კაცის ყოველნაირი მშვენიერი კასტიუმი, 5 მან. დაიწყება ფასი და ამას ზევით, რა ფასიანიც ესურვებათ; კაცის, ქალისა და ბავშების ყოველნაირი პალტოები ზამთრისათვის, საშემოდგომო და საზაფხულო, კაცის შარვლები და პიჯაკები, ფეხსაცმელები ქალის, კაცისა და ბავშების საუკეთესო ფირმების მრავალგვარი, მეწვის მუფთები ქუდები და შალები ლაზლის მრავალგვარი, აბრეშუმის იუბკები დიდი ასარჩევი, შალის კაბის ქვედა წელები, ზედაწელები და ზედაწელის მატერიები ნაჭრობით: კალოშები, კაცის ქალის და ბავშების რედიკულები, ალბომები, სარკეები და ქალის და კაცის, ქამრები და საქამრე რეზინები, ყოველნაირი რეზინა შემოსაჭერისათვის და აგრეთვე მზა შემოსაჭერი ქალთა და ბავშთათვის. კორსეტები და სხვა. ამასთანავე მოვახსენებ პატივცემულ საზოგადოებას, რომ

ახვლედიანის მაღაზიაში არის მიღებული დიდძალი ყოველნაირი ახალმოდის საქონელი და მზა ტანისამოსი, ფეხსაცმელი კაცის, ქალის და ყმაწვილების და ასეთებს **ვღებულობთ ყოველდღე. ფასები ხელმისაწდომია და უვაჭროთ.**

პატივისცემით ა. ახვლედიანი. № 3.

---

**მევენახეთა საყურადღებოთ!**

1913 წლის ღვინის მოსავლს თითქმის ნახევარზე მეტი დააკლდა გოლვების, ცუდი ადაპტაციისა და რუპესტრის დიუ ლო-ს ხმარების გამო. ამერიკული ვაზის სანერგე **„კლდ ყლურული“** ქუთაისში ერთადერთი სანერგე, რომელიც ამყნობს სხვადასხვა ვაზზე ყველა ნაირი ნიადაგის მიხედვით შესაფერი ჯიშის ვაზებს. დამზადებული აქვს გასასყიდათ 1913—14 წლ. 35,000 ცოლიკოური, 40,000 კრახუნა, 28,000 ციცკა, 12,000 ანდასაული. 10,000 მწვანე, 32,000 რქაწითელი, 12,000 მგალობლიშვილის, 8000 ოცხანური, 35,000 საფერავი, 25,000 ალიგოტე, 8000 რისლინგი, 10,000 პინო, 25,000 სემილიონი 42,000 კაბერნე, 20,000 ფოს—ბლანში, 28,000 გამე თეთრი და შავი და 80,0000-ზე მეტი სხვადასხვა საუკეთესო საჭმელი ჯიშის ვაზი „ლო“-ზე დამყნილი, 3309 101—14, 1202 420 A. ფასი საღვინე ვაზებისა 65 მან. 1000 და 1/2 მეტისა—80 მან. კანტორა იმყოფება მიხეილის ქუჩაზე მმ. გოკიელის სახლში **ვ. ტიეზო.**

---

ვინც თუთუნს ეწევა, ვსთხოვთ, მიაქციოს ყურადღება ახლათ გამოსულ პაპიროზებს

**პაროსი** { 25 ცალი 3 შ. იყიდება როგორც სხვა ქალაქებში ისე 10 — 6 კ. ქუთაისშიც.

პაპიროსები საუკეთესო ხარისხის თათრული თუთუნისაა, სასიამო სუნითა და საუცხოო გემოვნებით.

თუთუნის ქარხანა **ძმათა სეილანოვებისა.** თ ფ ი ლ ი ს შ ი.

---

**ექიმი** ი. ჩარექოვი იღებს კანისა და ვენერიულ ავათმყოფებს ახალ ბინაზე. მხოლოდ დილით 12—2 ს., საღ. 6—8 ს. სხვა დროს ექიმი საავათმყოფოშია.

მისამართი: გაგარინის ქუჩა, პოლიციის გვერდით, ფირალოვის სახლში. თ.

---

**ექიმი** გ. ა. მეიფარიანი, ღებულობს შინაგანი. ბავშებისა და ვენერიულ ავათმყოფებს. დილის 9—12 საათ. და საღამოს 5—7 საათ. თფილისის ქუჩა, საკუთარი სახლი № 30 ტელეფონი № 150. თ.

---

**ექიმი** კ. თ. ტყეშელაშვილი. ღებულობს ავათმყოფებს (შინაგანი, ვენერიული, კანის) ვიტუშინსკის სახლი, აფთიაქის უკან, პუშკინის ქუჩიდან ტელეგრაფის შესახვევში. თ.

---

**ექიმი** დ. ჯაფარიძე იღებს შინაგანის, ბავშების, აგრეთვე ყელის, ცხვირისა და ყურის სნეულებით ავათმყოფებს. თფილისის ქუჩა სახლი ნიჟარაძისა.

---

## მომავალი მვიჩვენებს…

ამ მოკლე ხანში პეტერბურგში გაიმართება სრულიად რუსეთის სახალხო მასწავლებელთა კრება. აი, სწორეთ ეს გარემოება გვაიძულებს ერთხელ კიდევ დაუბრუნდეთ იმ ატმოსფერას, რომელიც დღევანდელი სწავლა-განათლების სამინისტროს მესვეურთა მეოხებით გამეფებულა, როგორც დაბალსა, ისე საშვალო და უმაღლეს სასწავლებელშიც. თუმცა რუსეთში ამ ერთი უწყების საქმე მუდამ კოჭლობდა, არაოდეს რუსეთის შკოლა ევროპისას მხარში არ ამოდგომია, თუმცა იმ თავითვე სასწავლებელში მეცნიერება შევიწროებას განიცთიდა და მეცნიერების ტაძარში თავის პირდაპირსა და წმინდა მოწოდება-დანიშნულებას ჯეროვანათ ვერ უმკლავდებოდა, მაგრამ მაინც არაოდეს იგი ისე არ დაქვეითებულა, არაოდეს იგი ისე არ ყოფილა შეზღუდული და შევიწროებული, როგორც ამ ჟამათაა. კასოს სამინისტროს სათავეში ჩადგომას თან მოყვა რეპრესიათა გაძლიერება ყოველი ერის დარგის სასწავლებელში, მისი მოღვაწეობის მატიანესთან მჭიდროთაა დაკავშირებული რუსეთის უნივერსიტეტის ავტონომიის დასამარება, საშვალო სასწავლებელში სამხედრო ვარჯიშობის პირველ პლანზე დაყენება, განაპირა ქვეყნების შკოლებში გადამგვარებელ ტენდენციათა გამეფება და არა რუს მოწაფეთა მისაღების ნორმის შემცირება-შეზღუდვა. სტოლიპინის ნაციონალიზმმა ერთი თვალსაჩინო მესვეური და მტკიცე მიმდევარი პოვა კასოში: კასოს პოლიტიკა შკოლათა ნაციონალიზაციის პოლიტიკა შექნა. არაოდეს უცხო ერთა წარმომადგენელთათვის ისე მჭიდროთ არ დაუხშვიათ კარები, როგორც ეს სწავლა-განათლების ახლანდელი უმაღლესი მესვეურის დროს მოხდა. ვინც სახელმწიფო სათათბიროს სხდომათა მსვლელობას თვალყურს ადევნებდა, მას ეხსომება, რომ სათათბიროს ოპოზიციას არცერთ მინისტრზე არ მიუტანია ისეთი გაბედული იერიში, როგორც კასოზე. ვის არ ახსოვს მესამე სათათბიროში, რა ალიაქოთი და შეხლა-შემოხლა გამოიწვია პეტერ-

ბურგში ვოტმერის გიმნაზიის დახურვამ, მოწაფეთა დათხოვამ, პეტერბურგის უნივერსიტეტში საპოლიციო დარაჯთა შემოყვანამ, მოსკოვის უნივერსიტეტის განადგურებამ. პირიდან ცეცხლს აფრქვევდენ იმ დროს ოპოზიციის ისეთი წარმომადგენელნი, როგორც მილიუკოვი და როდიჩევია, მაგრამ კასოს კრინტიც არ დაუძრავს, ხელი არ გაუქნევია, წარბიც არ შეუხრია, მან სათათბიროს ოპოზიციის მდლიდან ქვევით გადაედო. მაშინ, როდესაც ყოველი კულტურული სახელმწიფო და მისი მესვეურნი სახელმწიფოს კეთილდღეობას სწავლა-განათლების ალორძინებაში ხედვენ, რუსეთის სამინისტრო ამ დროს ცდილობს განსაზღვროს „მსწავლულთა" რიცხვი, იგი ამის გამო ათასგვარ ნორმას აწესებს და სასწავლებლებშიც ნამდვილი მეცნიერების ნაცვლათ სამხედრო ვარჯიშობას ალორძინებასა და გაუმჯობესებაზე ზრუნავს. აი, ასეთ ამიდში უხდებათ სახალხო მასწავლებლებს შეკრება, ასეთია ის ატმოსფერა, რომელიც მისი თანამგზავრია მუდამ და ყოველგან და შესძლებს თუ არა სახალხო მასწავლებელთა კრება ზევიდან ნავარაუდევ პირობებს გვერდი აუხვიოს და ცოტათ თუ ბევრათ თავის დანიშნულებას დაუახლოვდეს? რასაკვირველია, ვერა, რადგან კასოს ხუმრობა არ უყვარს, იგი საქმის კაცია და კრებისგანაც „საქმეს" მოითხოვს. თუ არ დაემორჩილენ და „საქმეს" გვერდი აუხვიეს, მაშინ, მასაც ის ბედი ეწვის, რაც არა ერთ საზოგადო, საერთო კრებას ხდომია წილათ რუსეთში; და თუ „საქმეს" ხელი მოკიდეს, მაშინ კრების დანიშნულება საოცნებო საგნათ გახდება და მისი მოწოდება მის მიერვე იქნება დასამარებული, რადგან მინისტრის „საქმე" შკოლებიდან რუსეთის საამაყო მწერალ-მეცნიერთა განდევნაა, მას „ტოლსტოის სახელობის" „ვევესკაც" კი ეჯავრება და, ცხადია, შკოლებს მარტო პურიშკევიჩის „ლანძღვაგინების ლექსიკონი" ვერ ასაზრდოებს. ასეთ პირობებში მთელის მასწავლებელთა საერთო კრებას მუშაობა, ასეთ „საქმიანობას" უკარნახებენ მას დღევანდელი განათლების მესვეურნი და თვით იგი რა საქმეს მოკიდებს ხელს, რა მიმართულებას მიიღებს, ან არსებულ ვითარებას ვით სძლევს და გაუმკლავდება, ამას ახლო მომავალი გვიჩვენებს.

**იმერი.**

# ახალი ამბავი.

ორშაბათს, 16 დეკემბერს, ქალაქის საბჭოს სხდომაზე განიხილეს ქალაქის სავარაუდო შემოსავლის ხარჯთაღრიცხვა. საბჭომ ხარჯთაღრიცხვის პროექტი უცვლელათ მიიღო.

✦ ხმოსანმა მოსე ქიქოძემ ქალაქის საბჭოში განცხადება შეიტანა, რომ იგი თავს ანებებს ხმოსნობას.

✦ შავიქვის მრეწველთა კრება გუშინ 12 დეკემბერს შესწყდა, რადგან ფინანსიურ კომისიას მოხსენება არ ქონდა წარდგენილი.

✦ ქალაქში ამ ბოლო ხანებში სანოვაგის ფასმა ძალზე აიწია, გაძვირდა ყველაფერი, ექვსი კვერცხი უკვე აბაზათ ფასობს, ქათამი 7—8 აბაზათ.

✦ ქიათურასა და საჩხერეში დიდი თოვლი მოსულა. ქიათურაში სამი დღე ყოველნაირი მოძრაობა შეჩერებული ყოფილა. ორივე ადგილას 2 არშინი თოვლი მოსულა.

✦ რედაქციამ მიიღო ახალი საორშაბათო გაზეთის „ობზორ ზაკავკაზია"-ს პირველი ნუმერი გ. გძელიშვილის რედაქტორობით.

✦ როგორც სარწმუნო წყაროებიდან გვატყობინებენ, შორაპნის მაზრის სოფ. საწაბლიაში შემდეგი შემაძრწუნებელი ამბავი მომხდარა:—ხუთი კაცისაგან შემდგარი, შეიარაღებული ბრბო შემოსევია ამ სოფელს და თვენახევარზე მეტია რაც თავისუფლათ დანავარდობენ და სცარცვავენ სოფელს. ამ ერთი კვირის წინათ მოუკლავთ ორი ადგილობრივი მცხოვრები და მათი გვამები ძაღლებისათვის მიუგდიათ. ერთი გლეხისთვის გადაუწვავთ სახლკარი, სარჩო-საბადებელი, რადგან ამ უკანასკნელს უარი უთქვამს იმ ათასი მანეთის გადახდაზე, რომელიც მისთვის ავაზაკებს მოუთხოვიათ. იგი იძულებული ყოფილა ოჯახობით საკუთარი ოჯახიდან გაპარულიყო სხვაგან. ასეთი მაგალითი თურმე აუარებელია; დღე არ გავა, რომ ვისმე ფული არ მოთხოვონ, ვინმე არ დაარბიონ, დააწიოკონ და მშველელი არვინაა. ნუთუ ყაჩაღთა თარეშს ბოლო აღარ მოეღება და მათ ასალაგმავათ არავითარ ზომებს არ მიიღებენ?!

✦ გუშინ ხანგრძლივ ავათმყოფობას შემდეგ ქუთაისში გარდაიცვალა ტ-დი იასონ გელოვანის მეუღლე ელისაბედი. ჯერ ისევ მძიმე ავათმყოფს საავათმყოფოდან გამოწერის დროს, აწ განსვენებულს საავათმყოფოსთვის შეუწირავს 102 მანეთი, რომელიც ერგებოდა მას წინდაწინ შეტანილი ფულიდან. საავათმყოფოს აქიმები დიდ მადლობას სწირვენ განსვენებულის ჭირისუფლებს.

✦ რედაქციამ მიიღო „სასოფლო გაზეთის" მორიგი 50-ე ნუმერი. ნუმერი შინაარსიანია.

✦ მიწისმოწყობის მთავარგამგეობას განზრახვა ქონია მომავალ 1914 წელს სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებათა და ერობებს შემწეობა გაუდიდოს აგრონომებისა და ინსტრუქტორების შესანახათ.

✦ 20 დეკემბერს საზოგადო საკრებულოს დარბაზში ქუთაისის ქართული გიმნაზიის ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოთ გაიმართება საინტერესო მუსიკალურ-ვოკალური და საცეკვაო საღამო საღამოს ე. ჩიქოვანისა მართავს.

# დღიური.

— სენატმა დაარღვია ხარკოვის ვიცე გუბერნატორის დადგენილება საქიმო საზოგადოების დახურვის შესახებ.

— ცნობილი ილიოდორე სტამბოლს გაპარულა.

— რუსეთის სალიტერატურო საზოგადოება პროტესტს აცხადებს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ შემუშავებული ბეჭდვითი საქმის კანონპროექტის წინააღმდეგ

— მოსკოვში განზრახული პიროგოვის სახელობაზე სახლის ასაშენებლათ დღემდი 54410 მანეთი შეწირულობა შესულა.

— სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ აკიმოვმა „რუსკოე სლოვოს" კორესპონდენტს საბჭოს სხდომებზე დასწრება აუკრძალა, აკიმოვის განკარგულება „რუსკოე სლოვოში" მოთავსებულმა წერილმა გამოიწვია, რომელიც ლოთობასთან ბრძოლას შეეხებოდა.

— იტალიისა და ავსტრო-უნგრეთის შორის განხეთქილებას მოელიან.

# მონობა თუ ჯიუტობა.

**დასელების შესახებ.**

ძირს მონობა! აი, რას ვკითხულობთ მსოფლიო ისტორიის ფურცლებზე...

ძირს მონობა! აი, რა ლოზუნგით ხელმძღვანელობს კაცობრიობა უკეთესი მომავლისთვის ბრძოლის დროს...

მონობა, რა სფეროშიც უნდა გამოიხატებოდეს, საძულველი და შეუწყნარებელია, მაგრამ მით უფრო შეუწყნარებელია, თუ მონებათ გადაქცეულან თვით მონობასთან მებრძოლნი...

ადამიანი ავტორიტეტს კერპათ არ უნდა იხდიდეს, ყოველ მის სიტყვას თუთიყუშივით არ უნდა იმეორებდეს... საჭიროა, ადამიანს კრიტიკული აზროვნება ქონდეს, საჭიროა სინამდვილეს ფხიზელი გონებით უყურებდეს, ფაქტებსა და მოვლენებს ობიექტიურ ანალიზს უკეთებდეს...

არაფერია უცვლელი ქვეყნიერობაზე...

წინ მიდის და იცვლება ცხოვრებაც... მის წინსვლასთან ერთად წინ მიდის, იცვლება, ღრმავდება და ფართოვდება ადამიანთა შეხედულება, აზროვნება... სამყაროში ერთ წერტილზე არაფერი იყინება: ყოველივე მუდმივ მოძრაობაშია, ცვალებადობს.

დრო ქკუათა-მყოფი ადამიანთათვის დიდი მასწავლებელია. იგი მიუდგომლათ და გარკვეულათ ამტკიცებს ამა თუ იმ თეორიის, შეხედულებისა და დაბულების სიმრუდესა თუ სიმართლეს...

და ჯიუტობა აქ წარმოუდგენელი, ყოვლად შეუწყნარებელია...

რუსეთის ს.-დ., და განსაკუთრებით კი ჩვინებური დასელები, თავის მასწავლებლების აზრთა მონებათ გადაქცეულან. ისინი ახლაც იმას იმეორებენ, რაც ერთ დროს მარქსმა და ენგელსმა სთქვეს და რაც ჟამთა მსვლელობამ გარკვეულათ უარყო... მათ არ შეწევთ მოქალაქობრივი გამბედაობა აღიარონ იმის სიყალბე, რასაც „მას ჟამსა შინა" ამტკიცებდენ...

საზღვარგარეთ კი სინამდვილეს პირდაპირ უყურებენ და არ რცხვენიათ სიმართლის აღსარება...

ბელგიის სოციალისტების ბელადი ემ. ვანდერველდი თავისს უკანასკნელ წიგნში ამტკიცებს, რომ „საქალაქო მრეწველობის გრანდიოზულ კონცენტრაციის მზგავს მოვლენას სოფელში სრულიად ადგილი არ აქვს"-ო.

მარქსისტულ „Neue Zeit"-ის ფურცლებზე აგრარული საკითხის თეორეტიკოსი კ. გოფერი ამტკიცებს, რომ არავითარ კონცენტრაციაზე სოფლის მეურნეობაში ლაპარაკი არ შეიძლებაო...

მარქსს საბუთი ქონდა კონცენტრაციაზე ელაპარაკა, რადგან იმ დროს ასეთი პროცესი მართლაც ხდებოდა, მაგრამ კონცენტრაციული პროცესი დიდხანს არ გაგძელებულაო...

კ. კაუტსკიც ამასვე იმეორებს და ამბობს, რომ მარქსის ფორმულა კონცენტრაციის შესახებ სოფლის მეურნეობისთვის არ შეიძლება დაურღვეველ დოგმათ მივიღოთო... გარდაა მისა, მარქსი და ენგელსი ამტკიცებდენ გლეხთა კონსერვატორობასა და იმას, რომ პროლეტარიატს თავისი მიზნის მისაწევათ გლეხობასთან ბრძოლა მოუწევსო. არც ეს შეხედულება გამართლდა...

საფრანგეთში უკანასკნელ არჩევნებზე სოციალისტებმა 1, 200, 000 ხმა მიიღეს და ამათგან უმრავლესობა გლეხთა რაიონებში...

გერმანიაში ს.-დ., „უშნო" აგრარული პროგრამის მიუხედავათ, გლეხებისაგან ბევრ ხმას ღებულობენ...

იტალიაში, ჩეხიაში, ფინლანდიასა და სხვა ქვეყნებში სოციალისტები გლეხებში დიდ თანაგრძნობას პოულობენ...

რუსეთსა და საქართველოში გლეხები, სანამ პირობები ცოტათი მაინც „სასარგებლო" იყო, ხომ სოციალისტებს ირჩევდენ...

სოციალისტის არჩევა კი კონსერვატორობის დამამტკიცებელი არ არის...

საზღვარგარეთ დარწმუნდენ ამასთანავე, რომ პროლეტარიატი მიზანს ვერ მიაწევს, თუ გლეხობა არ დაეხმარება... და კიდეც ისეთი აგრარული პროგრამები შეადგინეს, რომელიც დიდათ, ძალიან დიდათ, განსხვავდება ჩვენი ს.-დ. აგრარული პროგრამისაგან.

მაგრამ ასეთი მაგალითები „სქელკანიანი" დასელებისთვის საკმარისი როდია!..

ისინი ახლაც ტანისამოსშემოფლეთილ, წვივ-ჩაგლეჯილ, მშიერ-მწყურვალ გლეხს ბურჟუათ ნათლავენ და პროლეტარის მტრათ აღიარებენ...

რაც შეეხება ეროვნულ საკითხს, საზღვარგარეთელი სოციალისტური პარტიები მას დიდის ყურადღებით ეპყრობიან, რადგან ცხოვრებამ ნათლათ დაამტკიცა მისი ღრმა მნიშვნელობა და ამ საკითხისთვის გვერდის ახვევის შეუძლებლობა.

ჩვენში კი დასელებს ეროვნული საკითხი „აბუჩათ" აქვთ აგდებული...

ისინი აქაც უყურებენ ავტორიტეტის აზრს, გ. პლეხანოვისა და ცენტრალური კომიტეტის შეხედულებას...

სად არის, ბატონებო, კრიტიკული აზროვნება, მოქალაქობრივი გამბედაობა?!

რას აქვს ადგილი: მონობას თუ ჯიუტობას?!.

თუ მონობას, ყველაფერზე საზიზღარი მონობა აზრის მონობაა...

თუ ჯიუტობას,—ისიც დასაგმობი, გასაკიცხია... **ვ. კაკაბაძე.**

# ეროვნული მოძრაობა ფინლანდიაში.

(დასასრული იხ. „ერი" 38-ე №)

ამგვარმა რეპრესიებმა ბოლოსდაბოლოს დააუძლურა ოპოზიცია, გამეფდა რეაქცია, ხალხი სასოწარკვეთილებამ მოიცვა. მოქმედმა ელემენტებმა დაკარგეს რწმენა ლეგალური გზით რისამე მიზნის მიწევისა. უთანხმოებამ პასივისტებშიც იჩინა თავი, პასივისტები ორ ნაწილათ გაიყვენ, ერთმა ნაწილმა აქტივისტების სახელი დაირქვა. აქტივისტების ჯგუფი თვითმოქმედებითა და სიმტკიცით ძლიერი იყვენ. ამ ჯგუფმა მიზნათ დაისახა გამარუსებელი პოლიტიკის საწინააღმდეგოთ გამოსვლისთვის ხალხის მომზადება. აქტივისტებმა თავის ტაქტიკაში ტერორი შემოიღეს. ტერორის პირველი მსხვერპლი ბობრიკოვი გახდა, რომელიც 1904 წელს შაუმანმა მოკლა. ამას შემდეგ მოხდა რიგი პოლიტიკურ მკვლელობათა. მოკლეს სენატის პროკურორი იანსონი, თავს დაესხენ მოსაკლავათ გუბერნატორს მასუდოვს, გუბერნატორის თანაშემწეს დეიტრიხს და სხვა.

კონსტიტუციონალისტების დაცემის ხანაშიც ადგილი ქონდა ერთს დიდ პასიურ წინააღმდეგობას. ეს იყო 1904–5 წლებში სეიმის გაფიცვა... სეიმმა პეტიცია წარუდგინა რუსეთს და აწერა ფინლანდიის უნუგეშო მდგომარეობა. სეიმმა დაადგინა: ყველა მიმდინარე საქმეები კომისიას გადასცეს და პეტიციის პასუხის მოსვლამდი საზოგადო კრებაზე არც ერთი საქმე არ განიხილოს. სეიმი ამგვარი რეზოლუციის მოტივათ ასახელებდა საგანგებო წესებს, რომლის დროსაც შეუძლებელი იყო სეიმის ნორმალური მოღვაწეობა.

რუსეთის მთავრობა დაუნდობლათ სდევნიდა ლოიალურ ოპოზიციას, ხოლო ხალხს კი ფრთხილათ ეპყრობოდა. ხალხი სამხედრო ბეგრის სიძნელის შიშით ამერიკას გარბოდა, ხალხი ისმენდა პასივისტების ქადაგს, მაგრამ მთავრობის მომხრეებსაც დიდი აუდიტორია ქონდათ მათში. ხალხის გული მთავრობის მომხრეთა ტკბილ-ტკბილმა სიტყვებმა უფრო მოიგო.

პოლიტიკურ საკითხში განვითარებული სამრეწველოს მუშები პროფესიონალურისა და პარტიული საქმეებით იყვენ გატაცებული, ბობრიკოვი მუშათა ორგანიზაციებსა და მუშათა პრესას არ სდევნიდა. ლიბერალური პრესა იდევნებოდა და სოციალდემოკრატიული პრესა კი ამ მხრით უფრო უზრუნველყოფილი იყო. მუშები კონსტიტუციონალისტებს მხარს უჭერდენ და მასიურ ადრესს ხელს აწერდენ. აგრეთვე სამხედრო ბეგრის წესების წინააღმდეგ ბოიკოტში მხურვალე მონაწილეობას ღებულობდენ.

ამას შემდეგ პარტიების ერთმანეთს შორის განხეთქილება ძალიან გამწვავდა. ძველ ფინებს პასიური წინააღმდეგობის გაწევა მავნებლათ მიაჩნდათ. მათი აზრით, ესრეთი ბრძოლა აქტიურ წინააღმდეგობას გამოიწვევს, რევოლუციას შექმნის და მხარეს დაღუპავსო. ბობრიკოვი დაენდო ამ პარტიას და ამ პარტიის წევრები სხვადასხვა თანამდებობაზე გაამწესა. ამას შემდეგ პარტიას საზოგადოებაში ყოველგვარი ნდობა დაეკარგა. არჩევნებზე 1904—5 წლებში ეს პარტია სასტიკათ დამარცხდა. საყოველთაო გაფიცვას შემდეგ პარტიას სახელმწიფო უფლება ხელიდან გამოეცალა.

1905 წელს ოქტომბერში ფინელთა ნაციონალური ბრძოლით დასრულდა ფინების ბობრიკოვის რეჟიმთან ბრძოლა. ეს ბრძოლა სხვა სახითა და უფრო სუსტათ გაგძელდა ბობრიკოვს შემდეგ ობოლენსკის დროსაც.

1905 წელს გაფიცვა მუშებმა დაიწყეს. კონსტიტუციონალისტები პირველათ ამ გაფიცვის წინააღმდეგ წავიდენ, შემდეგ კი გაფიცულებს მხარი დაუჭირეს. გაფიცვა პეტერბურგისა და გელსინგფორსის რკინის გზის ლიანდაგის მუშებმა დაიწყეს. გაფიცულთა მიზანი იყო გაფიცვით რუსეთის საზოგადოებრივი მოძრაობისათვის თანაგრძნობა გამოეცხადებიათ. შემდეგ გაფიცვამ სახე შეიცვალა და პოლიტიკური ხასიათი მიიღო. გაფიცვას სამრეწველოს მუშებს გარდა მოსწავლე ახალგაზდობაც შეუერთდა.

ხანი გავიდა და გაფიცულებმა ლოზუნგათ წმინდა პოლიტიკური მოთხოვნილებანი წამოაყენეს. ითხოვენ: კანონიერების აღდგენას, ბობრიკოვის დროინდელ განკარგულებათა შეცვლას, ძველ ფინთაგან შემდგარი სენატის გადაყენებას და მის ნაცვლათ ხალხის ნდობით აღჭურვილი სენატის მოწვევას. თხოულობდენ აგრეთვე: საყოველთაო საარჩევნო უფლებას, წარმომადგენლობითი საქმის რეფორმას, სამოქალაქო თავისუფლებას და სხვა.

რეფორმების განხორციელების საქმეში მუშებსა და კონსტიტუციონალისტებს შორის უთანხმოება თავი იჩინა. მუშები უნდობლობას უცხადებდენ წოდებრივ სეიმს და ითხოვდენ დამფუძნებელი კრების მოწვევას. კონსტიტუციონალისტების აზრით კი, რეფორმები კანონიერი გზით სეიმის თანხმობით უნდა გატარებულიყო. ამ ნიადაგზე უთანხმოება ძალიან გამწვავდებოდა, მაგრამ მუშებმა თავის დროზე თავისი მოთხოვნილება უკანვე წაიღეს.

1899 წლის ცნობილი მანიფესტის გაუქმების ქაღალდს სეიმმა 1905 წელს მოაწერა ხელი. ამ აქტმა გააუქმა ბობრიკოვის დროინდელი ყოველი განკარგულება. ამავე წელს მოიწვიეს სეიმი. სეიმის ახალი წესდების შესამუშავებლათ ძველ ფინთა სენატის წევრები სამსახურიდან გადადგენ და ძველი ფინების ადგილი კონსტიტუციონალისტებმა დაიკავეს. კონსტიტუციონალისტებს ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე ლეო მეხელენი ხელმძღვანელობდა.

სეიმი მეორე სესიის დასაწყისშივე (1908 წ.) დაათხოვეს და თანახმათ სეიმის წესდებისა ახალი სეიმის არჩევნები სამ თვეს შემდეგ დაინიშნა. სეიმის დათხოვა რუსეთ-ფინლანდიის დამოკიდებულების შესახებ სეიმის რეზოლუციამ გამოიწვია. სეიმის დათხოვას, იმანაც შეუწყო ხელი, რომ ძველმა ფინებმა წინადადება მისცეს სეიმს შეკითხებოდა რუსეთის მთავრობას თუ რას ფიქრობდა იგი ფინლადიის ავტონომიის დაცვის შესახებ?

სეიმის დათხოვას კონსტიტუციონალისტი სენატის წევრების წევრობაზე უარის თქმა მოყვა. ახალი სეიმის არჩევნებს 1908 წელს დიდათ არ შეუცვლია წინანდელი სეიმის შედგენილობა. სოციალდემოკრატებმა, შვედურმა სახალხო პარტიამ და ახალგაზდა ფინებმა წინანდელთან შედარებით უფრო ბევრი დეპუტატი გაიყვანეს.

ასეა თუ ისე, ნაციონალური და კლასიური კითხვა ფინლანდიაში არის ისეთი საკითხი, რომელიც ყველას ავათმყოფ საკითხათ მიაჩნია და რომლის შესახებაც ყველანი ერთი აზრის არიან. ყველა პროგრესიულისა და მემარცხენე პარტიის მიზანია ფინლადიის ავტონომიისა და მისი დამოუკიდებლობის დაცვა.

—

ორიოდე სიტყვა ფინლანდიის დღევანდელი სახელმწიფო წესწყობილების შესახებ. საკანონმდებლო უფლებით აღჭურვილია მონარქია და სეიმი. ვერც ერთი კანონი ვერ განხორციელდება, თუ ის სეიმისაგან მოწონებული და მონარქიისაგან დამტკიცებული არ არის, მონარქი დიდი უფლებით არის აღჭურვილი ეკონომიური კანონმდებლობის საქმეშიც. მონარქს უფლება აქვს სეიმის დაუკითხავათ გამოსცეს განკარგულება საზოგადოებრივი მეურნეობისა და სახელმწიფოს მართველობის შესახებ. სეიმი წინათ ოთხი წოდების პალატას წარმოადგენდა, ახლა კი სეიმის წევრთა არჩევანი ხდება საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული კენჭის ყრით. საარჩევნო ხმა მინიჭებული აქვთ ქალებსაც. სეიმის დეპუტატთა რიცხვი სულ ორასი არის. სეიმს აქვს უფლება საკანონმდებლო ინიციატივისა. სეიმის საბიუჯეტო უფლებაც არ არის ფართო. ფინლანდიის მართველობის სათავეში დგას გენერალგუბერნატორი და ფინლანდიის სენატი. სენატი ორი დეპარტამენტისაგან შესდგება, სასამართლოსა და სამეურნეოსაგან. პირველი უმაღლეს სასამართლოს ინსტანციას წარმოადგენს, მეორე იყოფა ექსპედიციებათ, სენატორებს უმაღლესი მთავრობა ნიშნავს. უმაღლეს მთავრობას წარმოადგენს გენერალ გუბერნატორი. მეფის წინაშე ფინლანდიის საქმის მომხსენებლათ არის ფინლანდიის საქმეთა სტატსეკრეტარი. ადმინისტრატიულის მხრით ფინლანდია იყოფა გუბერნიებათ. სახელმწიფო სამსახურში ადგილები მხოლოდ ადგილობრივ მკვიდრთ უჭირავთ. ფინლანდიას აქვს თავისი საკუთარი ბანკი და თავისი საკუთარი ფული. ფინლანდიელი ჯარის კაცები ფინლანდიაშივე იხდიან სამხედრო ბეგარას. **ბქილეხი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## „საპროტექციო ბიურო“.

ამ დღეებში ერთ ჩემს კარგ ამხანაგს შევხვდი, რომელიც ჩემსავით დაჩაგრულია ცხოვრებით—ენა გადმოვარდნილი დაეძებს საქმეს, ადგილს, სამსახურს და ჩემებ ვერას გამხდარა. შევტირეთ ერთმანეთს და ბოლოს ერთი უცნაური ამბავი მიამბო:—იცი, კაცო, ჩვენს ქალაქში ეს რამდენიხანია დაარსებული ყოფილა „საპროტექციო ბიურო“ და მისი საშვალებით ბევრს კარგი თფილი ადგილები უშოვია.

რამდენსამე მარჯვესა და მოხერხებულ მანდილოსანს შეუკრავთ წრე, დაუარსებიათ ბიურო და მიზნათ დაუსახავთ მფარველობა გაუწიონ ჩვენისთანებს, ე. ი. უშოონ მათ ადგილი, სადაც კი მოხერხდება კერძო, საზოგადოებრივსა თუ სახაზინო დაწესებულებაში.

სიხარულმა ამიტაცა და შევსძახე: ე, ბიჭო, მიმასწავლე, სადაა ეს ბიურო-მეთქი.

— უბედურობაც ისაა, რომ მათი ბინისა და გვარების გაგება ასე ადვილი არაა; ეს დაწესებულება კონსპერატიული ხასიათისაა და ის, რაც იქ ხდება, მხოლოდ ორი-სამი პირის საიდუმლოებას შეადგენს. თუ ვინმე გარეშემ ყნოსვით გაიგო ეს საიდუმლოება და ეს მათ ყურამდი მივიდა, ვაი მისი ბრალი; მაშინვე პირში ბურთს ჩაჩრიან, ენას ამოვგლეჯთო დაემუქრებიან, და შავ დღეს დააყენებენ. ბიუროს მრავლისაგან მრავალი აგენტი ყავს, მაგრამ ესენი ბრმათ ასრულებენ თავის როლს, საქმის ნამდვილი ვითარებისა არა იციან რა და ისე მოქმედებენ, როგორც მოსამართი ავტომატიური მანქანები.—შენ ალბათ ვერ მიხვდი, რაც ამბავია? საქმე ისაა, მეგობარო, რომ „საპროტექციო ბიუროს“ დამაარსებელნი და მოთავენი არც ისეთი ანგელოზები არიან, როგორც შენ გგონია. მართალია, ისინი მფარველობას უწევენ, როგორც გითხარი, ჩვენისთანებს, მართალია, მიზანი მათი კონსპერატიული საზოგადოებისა მეტათ სიმპატიურია, მაგრამ ამ მფარველობას, ამ სიმპატიურ, მიზანს, ისინი ძალიან ძვირათ ყიდიან, და თუ ვისმე უნდა საწადელს მიაწიოს, უნდა მოამზადოს შესაფერი „ფეშქაში“ და მოხერხებულათ გადასცეს ბიუროს, გესმის, მოხერხებულათ!.. ახლა ხო მიხვდი, რატომ ამდენხანს ვერ გავიგეთ მე და შენ ამ ბიუროს არსებობა და რას ნიშნავს მისი კონსპირატიული ხასიათი?—გარეგნულათ, თურმე, შენი ანგელოზები, მართლაც, ანგელოზურათ იჭერენ თავს, კაცმოყვარეობის სახელით მოქმედობენ. ყველგან, ყოველ დაწესებულებაში ქსელი აქვთ გაბმული, ერთი ან ორი ახლო ნაცნობი, ნათესავი ყავთ; ხშირათ მათი წყალობით მოკალათებული, ესენი ცნობას აწვდიან, იმ წამიდან დაიწყება ბიუროს დაუცხრომელი მუშაობა: ალერსი, ხვეწნა, ლიტინი, მუდარა, ტელეფონის რეკა ნაცნობობა, ვახშმები, პატივისცემა და თუ ვინიცობა ყველა ამან არ გასჭრა, მაშინ მუქარა, თურმე კრივიც-კი... ასე გადმომცეს ყველა ეს, ჩემო მეგობარო...

აბა, დავტრიალდეთ, მივაკვლიოთ ის ბიურო და ვეღირსოთ იქნება რასმე... მარა ჯერ სამალამო გროშები უნდა ვიგულოთ...

— მერე სადაა ეს გროშები. რომ რამე გამაჩნდეს, ფეხსაცმელს გამოვიცვლიდი... ვაი, ჩვენი ბრალი...

შევტირეთ ერთმანეთს როგორც შეხვედრისას, ისე გამოთხოვებისას.

**შაჲ გუგია.**

## ქალაქის საბჭოს სხდომა, 16 დეკემბერს.

როგორც იქნა დიდის ხნის მოლოდინს შემდეგ შეიყარა თავი ხმოსანთა საკმაო რიცხვმა, ძლივს ძლივობით შედგა ქვორუმი. ქალაქის მოურავი ხსნის კრებას. განსახილველია 1914 წლის ხარჯთაღრიცხვა. ამის განხილვა და დამტკიცება დღესასწაულებამდი უნდა დამთავრდეს, თვარა ქალაქის თვითმართველობას პირველი იანვარიდან კრედიტი მოესპობა. მაგრამ ჩვენ აბსენტეისტ ხმოსნებსაც ეს მდგომარეობა არ აინტერესებთ, ვერც ეს ამბავი აფხიზლებს მათ, ისე უესძულებიათ საბჭოს დარბაზი, როგორც ჩვენს ინტელიგენციას ქართული თეატრი. ვინც მიდის სხდომაზე ბოლომდი არც ის რჩება. ზის ერთ საათს და მერე სადღაც ქრება ქალაქის მოურავი კითხულობს სავარაუდო ხარჯთაღრიცხვას. მოსალოდნელი შემოსავლის პირველი მუხლი მამულების გადაფასებიდან 83699 მ. 7 შ.

**ქორქაშვილი** ეკითხება გამგეობას: რატომ აქამდი არ მოხდა ადგილ-მამულის გადაფასება? ფული არ გვქონდაო არის მოკლე პასუხი. საჭირო სახსარი როცა გვექნება, დამფასებლების შტატების შესანახათ, მაშინ მუშაობაც დაიწყება. ყურადღებას იქცევს მეექვსე მუხლი. მეეტლე-მედროგეებისა და მეურმეებისაგან ასაღები ბაჟი 6780 მ. **ბარ. მოსეშვილი**: ჩემის აზრით, აქ ჩვენ დაკლება მოგვიხდება. ეს მეტათ დიდი ბეგარაა მეეტლეებზე დადებული, თუ თვალყური გიდევნებიათ, უთუოთ შეამჩნევდით, რომ მეეტლეების რიცხვი ქუთაისში მცირდება. აღარ არიან ისეთი მეეტლეები წინათ რომ იყვნენ, ახლა სულ გატყაული ცხენები ყავთ. ეს იმის ბრალია, რომ საქონელი მეტათ გაძვირდა, ძველათ ას მანეთიანი ცხენი ბედაური იყო, ახლა ას მანეთად რიგიან ცხენს ვერავინ იყიდის. ეკლარიდან მეურმეებს რომ ქვა მოაქვთ, იმათაც დიდ ფულს ვახდევინებთ. შემდეგ ორატორი სთხოვს დაუჯერონ მას, რომ მეეტლეებში ნათესავი არა ყავს, არც არავის უთხოვია მისთვის ამაზე ელაპარაკნა საბჭოში. **თ. ს. დორთქიფანიძე**:—ეკლარიდან ურემი ქვის ჩამოტანა ქალაქის თვითმართველობისაგან დადგენილი ტაქსით 8 მ. ღირს, მეურმეები კი 11 და თორმეტ მანეთს ახდევინებენ, და თუ ამ შემთხვევაში ისინი სარგებლობას არ ხედვენ, ქვის ჩამოზიდვა შემცირდებოდა, მაგრამ, ჩვენ ვხედავთ, რომ, პირიქით, იზრდება.

**აქ. ნ ზარქვი**: ყველასათვის ცხადი უნდა იყოს, რომ ქუთაისში კარგი მეეტლეები აღარ არიან. ამის მიზეზი, როგორც აქ სთქვეს, საქონლის გაძვირებაა. ამას დიდი ყურადღება უნდა მიექცეს. ახლა ყველას რ იინიანი შინები აქვს. სანამ ჩვენი ქუჩები არ გაუმჯობესდება, მანამ მეეტლეების საქმეც ცუდათ იქნება, მე ვფიქრობ, ცოტა გადასახადი რომ დაუკლოთ, იქნებ ცოტათი მაინც გაუმჯობესდეს მათი საქმე.

**ბარ. მოსეშვილი** აღნიშნავს მეეტლეების სიმცირეს: ქებურია რომ ფრინავდა, ნახევარმა მსურველმა ეტლი ვერ იშოვაო. ამაზე ქალაქის თავი უპასუხებს, ქებურიას ფრენაზე მთელ ქუთაისს უნდოდა დასწრება და, რასაკვირველია, ეტლი არ ეყოფოდაო.

**ქორქაშვილი**:—მართლაც, აუტანელია მეეტლეთა მდგომარეობა, მაგრამ ამიტომ ქალაქს შემოსავლის წყარო კი არ უნდა მოვუსპოთ.

## ჭიათურის შავიქვის მრეწ. კრება.

**16 დეკემბრის სხდომა.**

სხდომა გაიხსნა 11 საათზე. სხდომას ცეიტლინი თავმჯდომარეობს. მოისმინეს და დაამტკიცეს წინა დღის კრების ოქმის კრებამ ერთხმათ გადასწყვიტა დაევალოს საბჭოსა და ამ კრებაზე არჩეულს განსაკუთრებულ კომისიას, რომ გამართოს მოლაპარაკება მემადნეებთან გზის საბჭოს განკარგულებაში გადაცემის შესახებ. კრებამ ერთხმათ დაადგინა, რომ საჭიროების დროს მიეცეს საბჭოს უფლება აიღოს სესხი, როგორც სახელმწიფო ბანკიდან, ისე კერძო საკრედიტო საზოგადოებისაგან და აგრეთვე სააქციონერო საზოგადოებიდან და საგლეხო ბანკებისაგან.

მუშათა დაზღვევის საკითხის შესახებ კრებამ მოისმინა კ. აბაშიძის მოხსენება. შემდეგ ილაპარაკა ზდანოვიჩმა. გ. ვაშაძე ეხება საავათმყოფო კასების საკითხს. მოითხოვს, რომ საავათმყოფო კასის გამგეობაში მხოლოდ მუშათა წარმომადგენლები შედიოდეს. იგი ამბობს:—კანონი ნებას აძლევს მრეწველებს, რომ საავათმყოფო კასის გამგეობაში თავისი წარმომადგენლის გაგზავნაზე უარი სთქვასო. მუშები საავათმყოფო კასის წესდებას არ არიან გაცნობილი, ამიტომ სასურველათ მიმაჩნია, საბჭომ დაურიგოს მუშებს ეზოვის წიგნი, რომელიც ქართულათ არის ნათარგმნი. უნდა იკითხებოდეს მუშებში ამ საგანზე ლექციებიც.

**გ. ზდანოვიჩი** გულწრფელი რომ ვიყო, ვაშაძის წინადადებას დავეთანხმებოდი. დარწმუნებული, ვარ ვაშაძეც არ არის დარწმუნებული, მისი წინადადების მიღებაში. მას შეაქვს ეს წინადადება მხოლოდ დემონსტრატიული მიზნით. ეს წინადადება ორიგინალობასაც მოკლებულია. ის ამ რამდენსამე დღის წინათ ერთერთ ქართულ გაზეთში ამოვიკითხე. საავათმყოფო რომ მუშები ხელში გადვიდეს, ამის ნებას კანონი არ იძლევა და ამაზე არც მრეწველები დათანხმდებიან. რუსეთის კანონი მუშათა დაზღვევის საქმეს მრეწველებს ანდობს, ვაშაძეს სხვა სახელმწიფოს მაგალითი სწორეთ არ მოყავს. სხვაგან მუშების ხელშია მხოლოდ ის საავათმყოფო, რომელიც მუშების ფულით ინახება. საავათმყოფო რომ მრეწველებისა და მუშების ხელში იყოს, ასეთს ვერ მიჩვენებს, ბ-ნი ვაშაძე. ვაშაძე მომზადებულ პირათ მიმაჩნია, მისი წინადადება კი „ბურჟუაზიობათ“. და ასეთ ბურჟუაზიობაში არათუ მე არ მივიღებ მონაწილეობას, მასში მონაწილეობის მიღებას არც ბ-ნ ვაშაძეს ვურჩევ. პრინციპიალურათ ვაშაძის მოსაზრების საწინააღმდეგო არაფერი მაქვს. ზდანოვიჩს პასუხს აძლევს ვაშაძე. კრებამ ამ საკითხის შესახებ ერთხმათ გადასწყვეტა მუშათა დაზღვევისა და დასახიჩრების დროს უზრუნველყოფის შესახებ დარჩეს ხმარებაში ძველი წესები. დაადგინეს აგრეთვე, რომ საბჭომ საერთო თანხიდან მუშათა დაზღვევის საზოგადოების კასაში უბედურების შემთხვევის დროს შეიტანოს დასაზღვევი ფული იმ მრეწველების მაგიერ, რომელნიც კანონიე ძალით საზოგადოებაში მონაწილენი არიან. მუშათა დაზღვევის საკითხის შესახებ კრებამ ერთხმათ მიიღო ყველა საავათმყოფო კასისთვის ერთი საერთო კასის დაარსების საჭიროება და მუშებისთვის უფასო საავათმყოფო კასის შესახებ რუსულსა და ქართულ ენაზე წიგნების დარიგება. წინადადება მეორე მოსიარულე აქიმის მოწვევის შესახებ უარყვეს. კრება ნაშუადღევის სამ საათზე დაიხურა.

**17 დეკემბრის სხდომა.**

თავჯდომარე ცეიტლინი კრებას გახსნილათ აცხადებს. კითხულობენ წინა დღის კრების ოქმს. ოქმში შეაქვთ მცირედი შესწორება. ვაშაძე აღნიშნავს—ოქმში გამოტოვებულია, რომ საავათმყოფო კასის დებულება ყველა მუშაზე ვრცელდებაო. თავჯდომარე უპასუხებს, რომ ოქმში არის ეს შეტანილიო. **ზდანოვიჩი** აცხადებს—ოქმში არ არის მხოლოდ, რომ ეს კანონი დამტვირთავ მუშებზე ვრცელდება. ვაშაძე ამბობს, რომ ლექციების შესახებაც კრების გადაწყვეტილება გამოტოვებულიაო. პერსენაკის აზრით, მეურმეები მუშების რიცხვში არ შეიძლება ჩაითვალოს. ისინი, ერთგვარ მრეწველებს წარმოადგენენ. გ ზდანოვიჩი კითხულობს შორაპნის შავიქვის მრეწველთა მუშების თხოვნას მათთვის სადგურზე ერთი ოთახის დათმობის შესახებ. ხარჯთაღრიცხვაზე ფინანსიური კომისიისგან მოხსენების წარმოუდგენლობის გამო სხდომას ხურვენ.

## პატარა ფელეტონი.

**მესაფლავენი.**

ნავთლუღი სავასბთებითა და სასაფლაოებითაა სავსე ითხუთხოვქარი ქრის. გაზეთის ქრონიკა.

1 **მესაფლავე**:—ეჰ, რამდენი გაიძვერა სოლაკელისთვის გამითხრია ამ ხრიოკ ადგილზე საფლავი!..

2 **მესაფლავე**:—რამდენი უკეთილშობილესი ძროხის სისხლი დანთხეულა ამ მიდამოებზე...

1 **მესაფლავე**: ეჰ, რამდენი უსირცხვილო პლუტოკრატი დამიმარხავს,
მათ ჰუჭყიან, სქელ შუბლის კანს
თვით ჭიაც კი სწუნობს, არ ხრავს...

2 **მესაფლავე**:—ეჰ, რამდენი კეთილშობილ
ძროხის ბლავილს შევსწრებივარ,
რას ვერჩოდი მე იმ ბედკრულთ?
დასაკირი მართლაც კი ვარ...

1 **მესაფლავე**:—რას იზავ, ჩემო ძმაო, ადამიანი სიკვდილის მოვალე ხარ, ცხოვრობ ვადამდი, მოვა ვადა და ვალიც უნდა გადაიხადო, მოკვდე...

2 **მესაფლავე**:—შენ ემაგ ფილოსოფიას თავი დაანებე და მიპასუხე: დღეს ვისა მარხავ?

1 **მესაფლავე**:—დღევანდელ მიცვალებულს ბევრი ჭირისუფალი ყავს, ჩემო ძმაო, ბევრი მდიდარი ჭირისუფალი... მგონი დღეს იმდენი ავიღო, რამდენსაც ორ წელიწადში ვერ ავიღებდი.

1 **მესაფლავე**:—კაცია თუ ქალი?

2 **მესაფლავე**:—ქალია ძმაო, ქალწული ქალი, გაუხრწნელი... თურმე გასაგიჟებელი სილამაზისა ყოფილა... მისი ეშხით თურმე ერთი დიდი ვინმე ლოგინათ ჩაწოლილა და აქამდი ზეზე ვერ წამომდგარა..

2 **მესაფლავე**:—არ იცი ვინაა, ან სახელი რა ქვია?

1 **მესაფლავე**:—რასაკვირველია ვიცი, მთელმა ქალაქმა იცის, განსვენებულს გვარი უცნაური რამ ქონია... ჯერ ნავთლუღში მე ამგვარი მიცვალებული არ შემხვედრია...

2 **მესაფლავე**:—ვისი ქალია არ იტყვი?

1 **მესაფლავე**:—ნულა მკითხავ, ძმაო, უცნაური რამაა, პირდაპირ დაუჯერებელი...

1 **მესაფლავე**:—ამბორიანცის ქალი ყოფილა, ამბორიანცისა, გაიგე? განა გსმენია ამისთანა შეუფერებელი გვარი?

1 **მესაფლავე**:—შეუფერებელი რათაა, პირიქით, ზეგამოჭრილია: როგორც შენ ამბობ, ქალი ძალიან ლამაზი ვინმე ყოფილა და ლამაზს ამბორიც ლამაზი უნდა...

1 **მესაფლავე**:—საქმეც ეგაა, რომ ლამაზი ამბორი არ ყოფილა, მისთვის არავის არ უკოცნია...

2 **მესაფლავე**:—აბა რათა აქვს ასეთი უცნაური გვარი?

1 **მესაფლავე**:—რათა და თუმცა სხვას აკოცეს, მაგრამ კოცნა მას ეკუთნოდა, მისი ეშხით იყო გამოწვეული.

2 **მესაფლავე**:—ესე იგი?

1 **მესაფლავე**: ესე იგი ისა, რომ რიგით მისთვის უნდა ეკოცნათ, მაგრამ მას მხოლოდ ჰაეროვანი კოცნა წარუგზავნეს...

2 **მესაფლავე**:—ხმ! ბევრი არაჩვეულებრივი რამ ხდება ცხოვრებაში, ბევრი...

1 **მესაფლავე**:—ჩემო ძმაო, მე მიკივინებდი: ფილოსოფიას თავი ანებეო და ახლა თვით შენ მოყევი. სჯობია ვიმღეროთ... (იწყებს სიმღერას).

ამ ხრიოკში ბევრჯერ ბევრი
გარეწარ დამიმარხავს,
მაგრამ მათში საყვარელი
მე არავინ არ მინახავს...

2 **მესაფლავე**:—რამდენ ძროხას, ღორს
და ბატკანს
ამოვართვი მე აქ სული:
სისხლითაა შეღებილი
დრო აწმყო და დრო წარსული...

**ორივე**:—მაგრამ ნუთუ ტურფა
ქალწულს
„ამბორის სხვერპლს“ დღეს აქ მარხვენ?
ოხ, სირცხვილო განგვერიდე,
წა, მოგვშორდი ნუღარ გვარცხვენ...

ამ დროს შორით ისმის ზარების რეკა. ცხადია, მიცვალებულს მოასვენებენ. ცოტა ხანს შემდეგ გამოჩნდება პროცესია. მას გარს მოსდევდენ სოლოლაკელნი. მიცვალებულს წინ უძღვის არქიელი მიცვალებულს მიასვენებენ და საფლავთან დასდგმენ. არქიელი წესს უგებს:—

„სულთათანა აღსრულებულ არს საყასბოთათანა, სულსა მიცვალებულისა ამის პოლიტეხნიკუმისასა, განუსვენე ნავთლუღლო: სადა ყოველი ცხვარ-ბატკანი განისვენებენ; და ღირს ყავ სანატრელსა მას ქართა ქროლვას ფულთმოყვარე.

**სოლოლაკელთა ხორო**:—აწდამარადის და უკუნითი უკუნისამდი ოქრო ბატონობს, ამინ.

მიცვალებულს საფლავში ჩაუშვებენ.

**უჩარდია.**

## რუსეთი

**სამღვდელოების კავშირი.** უმაღლეს სასულიერო წრეებში სრულიად რუსეთის სამღვდელოების კავშირში ღვდელთა გაერთიანების შესახებ მსჯელობენ. სამღვდელოების გაერთიანება უნდა მოხდეს საზოგადოებრივისა და სიეკლესიო საკითხების ნიადაგზე. კავშირში იქნება დახლოებით 80 ათასი წევრი.

**მილიტარიზმი საშუალო შკოლებში.** გიმნაზიათა დირექტორებმა სამოსწავლო ოლქის სამართველოდან მოწერილობა მიიღეს: თუ რა ვარათაა სასწავლებლებში სამხედრო ვარჯიშობისა და გიმნასტიკის საქმე დაყენებული. ამას წინათ ოლქის მზრუნველს დაუბარებია ის ოფიცრები, რომელნიც სასწავლებელში სამხედრო ვარჯიშობის საქმეს აწარმოებენ და უთქვამს, რომ თქვენ ხართ შკოლებში პატრიოტული აღზრდის მესვეურნიო. ამას შემდეგ მზრუნველი ერთ გიმნაზიაში შესულა, გამოუხმია მოწაფენი სათითაოთ და მოყოლია იმის ახსნა-განმარტებას თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სამხედრო ვარჯიშობის სათანადო შესწავლას,

## უცხოეთი

**მუშათა სასახლე.** ბრიუსელში ამ რამდენსამე დღის წინათ გაიხსნა მუშათა სასახლე. სასახლე [illegible] ნობას წარმო[illegible] ლის სო[illegible] ააშენა. პირველს ორ სართულში არის, სხვათაშორის, რამდენიმე საგიმნასტიკო ზალა. შემდეგი ორი სართული ლექციის წასაკითხავ დარბაზს უჭირავს. ლექციის წასაკითხავ დარბაზში 840 მსმენელის ადგილია. კიდევ უფრო მაღლა პირველს ორ სართულში არის ბიურო მუშათა პარტიის პოლიტიკურისა და პროფესიონალური ორგანიზაციებისა. მე-8 სართულში შკოლა, სამკითხველო და საერთაშორისო სოციალისტთა ბიურო მოთავსებული. მთლათ მაღლა არის ქალაქზე გადასახედავი აივანი. განზრახულია მუშათათვის სწავლის მისაღებათ ინსტიტუტის გახსნა, რომლის მოსაწყობათაც ერნესტ სოლვემ მილიონი ფრანკი გაიღო. მუშათა სასახლის გახსნას, გარდა ხსენებული კაპიტალისტ-დემოკრატისა, დაესწრენ ანატოლ ფრანსი და ინგლისის, საფრანგეთის, გერმანიის, გოლანდიისა და შვეიცარიის მუშათა პარტიის წარმომადგენლები.

**შეიარაღების წინააღმდეგ.** ლონდონში პასტორმა კემპბელმა ევროპის სახელმწიფოთა შეიარაღების წინააღმდეგ გასალაშქრებლათ კომპანია მოაწყო. კემპბელის განზრახვაა: ინგლისის ეკლესიამ იმოქმედოს მთავრობაზე, რათა მან, საფრანგეთს, შეერთებულ შტატებს, გერმანიასა და რუსეთს შეუთანხმდეს. კემპბელის აზრით, მილიტარიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ინიციატივა პაპმა, როგორც ეკლესიის სათავეში მდგომმა, უნდა მიიღოს თავის თავზე, ამასთანავე უნდო გაერთიანდეს ყველა ეკლესია და მოითხოვოს უთანხმოებით გამომწვევი საკითხები სამედიატორო სასამართლომ გადასწყვიტოს. სამღვდელოებას ინგლისში დიდი გავლენა აქვს, მთავრობაცა და პარლამენტიც იძულებულია ამ ფაქტს ანგარიში გაუწიონ.

**80 ბავშის გასრესა.** ვაშინგტონიდან (ამერიკაშია) იუწყებიან:—მიჩიგანის შტატის ქალაქ კელსმეტში ადგილობრივ მაღაროს მუშათა ბავშებისათვის საშობაო ხე მოაწყვეს. დღესასწაულს აუარებელი ბავში დაესწრო, ყველანი მხიარულობდენ, თამაშობდენ, ხტოდენ. ამ დროს, დარბაზში, სადაც ხე იყო გამართული, ცეცხლი გაჩნდა. შეიქნა ყვირილი, წივილი, ეცენ კარებს, ბავშები ერთმანეთს ახტებოდენ, ყველანი კარებისკენ მიეჩქარეოდენ. დაცარიელდა დარბაზი და 80 ბავში ნახეს ფეხით გასრესილ-გაჭყლეტილი.

—

**ოსმალეთის მდგომარეობა.** როგორც გაზეთები იუწყებიან, ოსმალეთში შიგნით დიდი არეულობა სწარმოებს. განხეთქილება სუფევს თვით მინისტრთა შორის. სახელმწიფო ხაზინა დაცარიელებულია. არათუ იმ მოხელეთ არ მიუღიათ ჯამაგირები, რომელნიც თვით ოსმალეთში მსახურობენ, ექვსი თვე უჯამაგიროთ არიან ელჩები, კონსულები და სხვები, რომელნიც სახელმწიფოს გარით ეწევიან სამსახურს.

## დაბა-სოფლები.

**სოფ. ილემი** (ზემო იმერეთი). სოფელი ილემი იყოფა ორ ნაწილათ: პირველ ნაწილს იწოდება ქვედა ილემი და მეორეს—ზედა ილემი. ამ წერილში მე შევეხები მხოლოდ ზედა ილემს.

აქ არსებობს ორკლასიანი სამრევლო სასწავლებელი და ბიბლიოთეკა. მხოლოდ ჩვენდა სამწუხაროთ, საქმის მსვლელობა, როგორც სასწავლებლის, აგრეთვე ბიბლიოთეკისაც ვერ არის დაყენებული სასურველათ. მაგალითად, იყო შეწირულობა მასწავლებელ ბ. ტ. რ. ნიქაბაძისაგან ფულათ ხუთი თუმანი, რომელიც უნდა მოხმარებოდა სასწავლებელს. აგრეთვე მთავრობის ნებართვით გაიმართა წარმოდგენა, სადაც მონაწილეობას ღებულობდენ ადგილობრივი მოზარდი თაობა. შემოსავალი ამ წარმოდგენიდან ექვს თუმანსა და რამდენსამე კაპიკს უდრიდა, მხოლოდ, ხარჯებს გარდა, წმინდა შემოსავალი ჩვიდმეტ მანეთს. ეს ფული უნდა მოხმარებოდა სასწავლებელს

სასტამბო სახლი
ი. გოკიელის ამ-ბის
ქუთაისში.

მიღებულია და იყიდება ძლიერ ზომიერ ფასებში სადარბაზო ბარათები საუკეთესო ხარისხის (Визитныя карточки изъ загран. бристоли). რუსული კალენდრები. საუკეთესო გამოცემა ოტტო კიხნერის და სიტინის ამხანაგობისა. ქართული კედლის და ჯიბის კალენდრები. ტყავის პორტფელები. (Портфели адвокатскія, документныя и вексельныя).
კალათები ქაღალდის ჩასაყრელი.
27-ნ 31 დეკემ. გაიყიდება წვრილათ ყოველნაირი სურათები დაკლებულ ფასებში.

დეპო ლამპეულის, ჭურჭლეულობის, ავეჯეულობის და შპალიერის ქ. ქუთაისში.
ფ. ს. ფილიპოვისა.
ალექსანდრეს ქუჩაზე,
მოიპოვება ყოველთვის ელექტრონის მრავალგვარი არმატურა და მისი მოწყობილებანი, ყოველნაირი საოჯახო სამკაული: ნავთის სამოვრები, ლუმელები (ფეჩები), სამზარეულოები, იატაკზე საფენი „ლინელიუმი“, სამუსიკო ინსტრუმენტები (საკრავები), საეკლესიო სამკაული და მრავალგვარი ძვირფასი საოჯახო ნივთი, აუარებელი ასარჩევი ნიმუში, შპალერის თოფი 2 შაურიდან ვიდრე მანეთნახევრამდი ფასები ყოველი კონკურენციის გარეშე.
პატივისცემით ფ. ს. ფილიპოვი. № 10.

გაუმჯობესებას. მაგრამ, ჩვენდა საუბედუროთ, სასწავლებელს არაფრის გაუმჯობესება არ ეტყობა. ამ ფულებმა (50 მ. მასწავლებლიდან შეწირულმა და 17 მ. წარმოდგენიდან დარჩენილმა) თავი მოიყარა სასწავლებლის მართველის მამა მოძღვრის ვ. ბ. გორგაძის ხელში. არ ვიცი, ეს ფული რას მოახმარა ბ. მართველმა, ვიცი მხოლოდ, რომ სასწავლებელს ამ თანხიდან არაფერი არ მოხმარებია. დროა—ბ. მართველმა ამ ფულებს ანგარიში გაუწიოს და სასწავლებელს მიხედოს, მით უფრო, რომ ზამთარია, და როგორი ზამთარი, ეს ხომ თვითონ მან უწყის. სასწავლებლის შენობაც ძლიერ ნაკლებია. მიუხედავთ ამისა, აქ სწავლობს ასორმოცამდი ბავში, რომელთაგანაც ზასაჯდომი ადგილების უქონლობით, უმრავლესობას ფეხზე უხდებათ დგომა და მეცადინობა. ადვილი წარმოსადგენია, თუ როგორ მდგომარეობაში იქნებიან ბავშები. არ შეიძლებოდა, რომ შეწირული ფულებიდან დახარჯულიყო ცოტაოდენი და ბავშების დასაჯდომები შეეძინათ? ნეტა ვიცოდე, თუ რას მიეწერება ასეთი მართვაგამგეობა? მე მგონია, რომ მართველის უთვალყურობას უნდა მიეწეროს. ბავშების მდგომარეობა მეტათ აუტანელ მდგომარეობაშია. დროა, თუ მართველმა არა, საზოგადოებამ მაინც მიაქციოს ყურადღება ამ საქმეს.

**იდუმდი.**

—

**ს. ხიმონეთი** (ზემო იმერეთი). კვირას, 8 დეკემბერს, დილით მოიწვიეს მთელი სიმონეთის საზოგადოება და მისცეს ასეთი წინადადება:—გსურთ თუ არა ქვემო სიმონეთის ორკლასიანი სამინისტრო სასწავლებელი გადავიტანოთ სოფლის შუა ადგილზე, სადაც ყველასათვის მოხერხებული იქნებაო? ხალხმა ხელების მაღლა აწევით ერთხმათ შეყვირა: „დეე იქნეს გადატანილი საშუალო ადგილზე, ბ-ნ ა. ქავთარაძესა და ი. ცქიტიშვილის ადგილზე, რომლებმაც სკოლას უსასყიდლოთ დაუთმეს ერთი ქცევა ადგილი და ამაზე განაჩენიც დაადგინეს.—ზნელეთის მოციქულნი კი, რომელთაც უნდათ ვებერთელა ქვის შენობა ააგონ მდ. ყვირილას ნაპირას, სადაც ადამიანს კოღოებმა თვალები უნდა ამოჭამოს, და რომელიც ახლო-მახლო მცხოვრებლებზე ორ-სამი ვერსის მანძილზე არის დაშორებული, დღესაც გარბიან ქუთაისს და ყოველივე ზომებს ღებულობენ როგორმე განაჩენი დაარღვიონ.

მოვუწოდებ ყველა იმ განათლებულ პირს, რომელსაც შეუძლია—დაეხმაროს სამოსწავლო მთავრობას, რათა განხორციელდეს უკანასკნელი განაჩენი.

**უცხო.**

— —

**დ. საჩხერე** (ზემო იმერეთი). განსვენებული ბიჭიკო წერეთლის სახელობაზე განზრახული სახალხო სახლის აშენება, ჯერ კიდევ საპროექტო სტადიას განიცდის: არავინ უწყის, როდის აშენდება ხსენებული სახლი. ამჟამათ კომისია ადგილის შეძენაზე ზრუნავს. განზრახვა აქვთ ილარიონ გამყრელიძისაგან შეიძინონ ადგილი, რომელიც ბაზრის განაპირა უბანში არის. ამ მიზნით იყო საჩხერეში ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკის მიწის მზომელი, რომელმაც ხსენებული ადგილი დაზომა და დაათვალიერა. ვიდრე სახალხო სახლი არ აშენდება, მანამ არც ჩვენს ბიბლიოთეკა-სამკითხველოს ეშველება რამე, რომელიც უსახსრობისა გამო სულს ლაფავს.

— როგორც მკითხველებმა უწყიან, უკვე ნახევარ წელზე მეტია რაც ადგილობრივი სამრევლო ორკლასიანი სკოლის მზრუნველი დ. ი. აბაშიძე გადაიცვალა, მის ნაცვლათ დღეს ამ სკოლის მზრუნველობა ი. ო. გამყრელიძემ იკისრა, რომელიც, იმედია, სათანადო ენერგიითა და მზრუნველობით მოეკიდება ხსენებულ სასწავლებელს, მით უფრო, რომ ხსენებული სასწავლებლის საქმეს ამ ბოლოდროს დაქვეითება ეტყობა, ვინაიდან მას გამოაკლდენ ისეთი მასწავლებლები, როგორიც ი. ლამბაშიძე და ვლ. აბრამიშვილი იყვენ.

— ადგილობრივი საქალო სასწავლებლისთვის შენობის აგება უკვე დასრულდა. დიდი ღვაწლი და შრომა მიუძღვის ხსენებული შენობის აგების საქმეში კნ. ელისაბედ წერეთლისას, რომლის დაუღალავმა შრომამაც შესძლო ასეთი ბრწყინვალე საქმე სისრულეში მოეყვანა. დღეს ქალთა სასწავლებელს საჩხერეში ადგილობრივ სასწავლებელთა შორის უპირველესი ადგილი უკავია, მას დიდი საგანმანათლებლო მნიშვნელობა აქვს საჩხერის რაიონისთვის და მის მესვეურთა მეოხებით მან სავსებით შესძლო თავისი წმინდა მოწოდება გაემართლებია. გუსურვებთ, კნ. ე. წერეთლისას და ა. იურკევიჩის ასულს მომავალშიც ასეთი დაუშრეტი ენერგიითა და წრფელი სიყვარულით მოპყრობოდენ ამ საზოგადო დაწესებულებას.

**საჩხერელი.**

— —

**სოფ. ინაშაური და მისი ბუნება.—გოგირდის აბანო.—შესანიშნავი ტბა „ტაბა-ყური“.**

ქუთაისიდან 26 ვერსის მანძილზე, მდ. რიონის მარცხენა ნაპირას ძევს სოფ. ინაშაური, რომელიც ეკუთნის ბაღდათის საზოქაულოს. იგი შემკობილია თავისი მდებარეობით, კარგი ჰაერითა და ცივი წყაროებით. ოდესმე ეს ადგილი, რომელზეც სოფელია გაშენებული, ჩამოშავებულა მეწყერის გამო, და მას შემდეგ დარქმევია სოფელსაც სახელი „ის ნაშვაური“, აქიდან შემდეგ „ინაშაური“. სიმინდი და ღვინო ამ სოფელში კარგი მოსავლის დროს ბლომათ მოდიოდა, დღეს კი, როგორც საზოგადოთ ყველგან, აქაც სუსტია. აქაურ მკვიდრს კარგ შემოსავალს აძლევს დაფნის ტყეები, რომელსაც ხშირათ შეხვდებით აქ. ყოველ მეორე-მესამე წელიწადს ეს ტყეები მოიქნება და ფოთოლი იყიდება 2—4 მანეთად ფუთი; დ. სამტრედიიდანა და ქუთაისიდან მოდიან ვაჭრები და მიაქვთ, ან და იქაურ ალვადრებს გააქვთ ბაზარზე; წინათ დაფნის ბუნებრივ ტყეებს არაფრათ აგდებდენ, შეუძავებელი ქონდათ და საქონელი აოხრებდა, ამ ბოლო დროს კი, როდესაც იგემეს იმისი ფასი, შეაკავეს, ამრავლებენ თესლით, აშენებენ და ხელს უწყობენ. ინაშაურში საყურადღებოა გოგირდის აბანო, რომელიც გადმოქუხს კლდის ძირიდან და არის ნელთფილი; ექვსი ოთხკუთხი საჟენის სივრცეზე შემოფარგლულია ქვიტკირით და ფიცრული ლობით, რომელშიც გუბდება წყალი ერთი ალაბის სიმაღლეზე და შიგ ბანაობენ; აბანო გადაუხურავია, რადგანაც, როგორც ამბობენ სოფლელები, უფრო მოსახდენიაო. ზაფხულობით აქ სხვადასხვა მხრიდან იკრიბებიან ავათმყოფები ქარებითა და თავის ტკივილით, მაგრამ დიდხანს ვერ რჩებიან საბანაოთ; ამისი მიზეზი ის არის, რომ აბანო მოუწყობელია, სისუფთავე არ არსებობს და ბინაც ხეირიანი არ იშოვება.

აბანო რამდენსამე მონაწილეს ეკუთვნის, თვითოეული მათგანი ორიოდე მანეთს შესჩერებია და მოწყობა-გაკეთებას როდი ჩივის; სამი წლის განმავლობაში ერთჯერ გაიცემა იჯარით წელიწადში 500—600 მანეთად და შემდეგ მოიჯარადრის საქმეა,—მობანავეს თითო ჩასვლაზე ახდევინებს ერთ შაურს; აბანოში ჩაეტევა 20—30 სული. ამ აბანოს ეძახიან სახელათ „ჭოკიანს“; როგორც შევიტყვე უნდა იყოს გვარი, რომელსაც ოდესმე ეკუთნოდა ადგილი, სადაც აბანო აღმოჩენილა; ან შეიძლება ამ ადგილის მეპატრონეთ ერქვა სახელი „ჭოკია“, როგორც მაგალითად „ლეკვია“, ბიჭია, სეხნია და სხვანი და შემდეგ აბანოს დაერქვა „ჭოკიანი“.

ამ აბანოდან ნახევარი ვერსის სიშორეზე იმყოფება საყურადღებო ტბა „ტაბა-ყური“. უხსოვარი დროიდან არსებობს ეს ტბა და უკავია 10—12 ქცევა (10,000 ოთხკუთხი საჟენი) მშვენიერი ნაყოფიერი ადგილისა; ნაპირებზე ხარობს ჰილობა, წყალს ლურჯი ფერი აქვს, ტბა დაწყნარებულია და დაყრუებული. ჩემის აზრით, იმიტომ დაურქმევიათ „ტაბა ყური“, ე. ი. „ყრუ ტბა“, უნდა იყოს მეტათ ღრმა, ნაპირებზე ორ არშინიანი ჯოხი იმალება; ტბას გარშემო მშვენიერი სიმიდის ყანები ითესება და ხარობს; ამ ტბის გაჩენის შესახებ აქაურებმა შემდეგი ლეგენდა მიამბეს: „ვითომ ძველათ აქ ყოფილა ერთი მოსახლე გლეხი, იმის ცოლს ხარება დილას დაუწყია თითის ტარზე ძაფის რთვა; ამ დროს გამოცხადებია ვილაცა და უკითხავს დედაკაცისთვის: „დედაკაცო, დღეს რომ საქმობ, რა დღე არისო“? დედაკაცს უპასუხნია: „ხარება და ხარხარება ჩემი ქმარშვილის გახარებაო“ და გაუგძელებია რთვა; ამ დროს ერთ ადგილას მიწიდან ამოსულა წყალი, რომელსაც თანდათან უმატია, დედაკაცი აკვნიანი ბავშითა და მთლათ ეს მოსახლეობა ჩაუფლულა წყალში და შემდეგ გაჩენილა ეს ტბა; ხანდახან ხარება დღეს, ვინც დაუკვირდებაო, ვითომ შუაგულ წყალში რაღაც აკვანის მზგავსი გამოჩნდებაო და ისევ მალე ჩაიყურებაო“. მე შევეკითხე აქაურებს, რისთვის ვერ მოახერხეს ამ ტბის სიღრმის დაზომვა, ან წყლის გადაყვანა და დაშრობა; მიპასუხეს, რომ ვითომ გველები და ნიანგები არის შიგ და ვინ გაბედავს ტბაში ნავით შესვლას და დაზომვასო; ბაყაყები ტბაში ნაკლებათ არიან, სწორედ იმიტომ, რომ გველები არ აყენებენო.—კარგი იქნება, რომ ბუნებისმოყვარულნი მიაქცევდენ ყურადღებას და ერთ ზაფხულში დაათვალიერებდენ ამ ტბას, დაზომავდენ და გამოიკვლევდენ; მოხერხდება, რომ ტბიდან წყალი გადაიყვანონ იქვე მდ. „კვინის წყალში“, რომელიც ჩადის რიონში; ამგვარათ, შესაძლოა, მათი რჩევით, დაშრონ ეს ტბა და სოფელმა შეიძინოს 10—12 ქცევა მშვენიერი საყანე ადგილი. დღეს სოფლელები დაშინებული არიან, ტბაში ნიანგები და გველები ბუდობენ და სოფელს შეესევიანო“. ტბა ეკუთნის ლორთქიფანიძეს, ნიჟარაძესა და საკანდელიძეს; საყანე მიწა აქ 30 თუმნათ ფასობს ქცევა.

ამ ზაფხულზე დავათვალიერე ეს ტბა და მეტათ გამაკვირვა იმისმა ნახვამ; სოფლელებმა მთხოვეს ეს გარემოება დამებეჭდა გაზეთში.

**დადო ბზვანელი.**

რედაკ.-გამომცემელი გ. ბრეგაძე.

კ. ოცხელისა და ამხ. წიგნის საწყობშია
შემდეგი გამოცემანი:

1. ყუბანეიშვილი. პირველდაწყებითი დარიგება სალვთო სჯულის სწავლებაზე ფ. ყდით 6 შაური.

| | | | |
|---|---|---|---|
| 2. ქვარიანი. | საქართველოს მოკლე ისტორია | ფ. | „ 2 აბაზ. |
| 3. ხუნდაძე. | ქართული გრამატიკა | ფ. | „ 3 „ |
| 4. მისივე. | მოკლე ქართული გრამატიკა | ფ. | „ 1 „ |
| 5. ნიკოლაიშვილი. | მოკლე ქართული გრამატიკა | ფ. | „ 1 „ |
| 6. რობაქიძე. | სამშობლოს აღწერა | ფ. | „ 10 შაური. |
| 7. „გუთანი“ | ქართული სახელმძღვანელო | ფ. | „ 17 „ |
| 8. გერსამია ლვდ | ლოცვანი | ფ. | „ 2 „ |
| 9. დათეშიძე. | ქართული წერის დედანი | ფ. | „ 5 „ |
| 10. კიტა აბაშიძე. | ეტიუდები XIX საუკ. ქარ. ლიტ. შესახებ | ფ. | „ 14 „ |

აქვე იყიდება ყოველგვარი სახელმძღვანელო და საკითხავი წიგნი. პროვინციის წიგნის მაღაზიებს ეძლევათ დიდი სალავათი.

გვერდით გამართულია სპეციალური კანცელარიის მაღაზია **დ. ოცხელისა,** სადაც მოიპოვება სასწავლო და საკანცელარიო ნივთები ძლიერ იაფათ; ამ ჟამათ აქ მიღებულია მრავალი სავიზიტო ბარათი და კალენდარი 1914 წლისა.

**ადრესი:** Кутаисъ. книжный магазинъ т-ва К. И. Оцхели.

გ. გორდაძისა და ს. წერეთლის
ერთადერთი წარმომადგენელი ქუთაისის გუბერნიაში, ბათომისა და სოხუმის ოლქში უმაღლესა სასახლის გოფმეისტერის, იური სტეფანეს ძის ნეჩაევ-მალცევის ბემსკის მინების ქარხნისა, მიაქციეთ განსაკუთრებული ყურადღება მინის ყუთზე ნიშანს „БЕМСКОВ“
რკინეულობის მაღაზიაში იყიდება:
საუკეთესო
ქარხნებისგან
მიღებული რკინეული
საქონელი: კარის, ფანჯრის
და ღუმელის მოწყობილობანი;
სადურგლო ხელსაწყობი, ფანჯრის
მინები, რკინის ნიჩბები, ლურსმანი, მავთული, ყოველგვარი სალებავი წამალი,
ელექტრონის ზარის მოწყობილობა, შპალიერი,
ცემენტი, ემალიანი ჭურჭელი, ასფალტი და სხ.
ვაჭრობა პარტიითა და წვრილათ ხელმისაწვდომ ფასათ.
ქ. ქუთაისში, საკუთარ შენობაში, მიხეილის ქუჩაზე № 65

ქუთ. სამხედრო ლაზარეთის კანცელარიაში ამა წლის 28 დეკ. მოხდება
საჯარო ვაჭრობა
1914 წლის განმავლობაში სანოვაგის მიწოდების იჯარით გასაცემათ. წლიურათ ლაზარეთს დაახლოებით 25 ათასი მანათის სანოვაგე სჭირდება. პირობის გაცნობა შეიძლება ყოველდღე ლაზარეთის კანცელარიაში, დილის 10 საათიდან 12 ს.

КУРСЫ кройки и шитья для дамъ и дѣвицъ. | ПРІЕМЪ заказовъ на элегантные дамскіе наряды

M-me МАРИ

На-сколко важно для каждой дамы и дѣвицы самой, безъ посторонней помощи, умѣть кроить и шить, говорить объ этомъ нѣтъ надобности. Достаточно сказать, что специальность эта, совмѣщаетъ въ себѣ двойную выгоду: ЭКОНОМІЮ и ЗАРАБОТКИ. Она каждой дамѣ и дѣвицѣ даетъ могучую возможноть: 1) одѣваться почти даромъ и со вкусомь и 2) заработывать вдвойнѣ—путемъ преподованія курсовъ и пріема заказовъ. Курсы эти открыты мною по образцу заграничныхъ. Благодаря особенностямъ метода и постановкѣ дѣла курсы усваиваются БЫСТРО, ЛЕГКО и ОСНОВАТЕЛЬНО. За мою долголѣтную практику заграницей и въ столичныхъ городахъ Россіи, какую я на этомъ поприще искуства принесла пользу, въ этомъ убѣждаютъ безчисленныя газетныя благодарности, какія систематически изъявлены мнѣ многими изъ моихъ бывшихъ курсистокъ. Время дорого. Поспѣшите записаться на курсы.

Тутъ же при курсахъ открыта мною спеціальная мастерская для пріема заказовъ исключитеьлно на элегантные наряды, отличающіеся изящностью фасона и художественностью работы. Полное угожденіе вкусу любительницъ изысканныхъ нарядовъ, это—нашъ девизъ. Ѣздить въ Тифлисъ на курсы или за заказомъ художественно—изящныхъ нарядовъ болѣе нѣтъ надобности.

*Адресъ:* Кутаисъ, 1-ая Александровская ул. д. Бокерія противъ бульвара.
Съ почтеніемъ **M-me МАРИ.**

ელექტრო-საბეჭდავი ფერაძისა და კარნაუხოვის ქუთაისში.